ფეხბურთი

თბილისის “დინამო” შავი ზღვის სანაპიროზე

ლესელიძე. (ჩვენი სპეც.სორ.). აქ იმყოფება თბილისის “დინამოს” ფეხბურთელთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან მარღანია, ძიაპშპა, სარჯველაძე, პანიუკოვი, ღოღობერიძე, ანთაძე, რუსაძე, ელოშვილი, გარიშვილი, ჯოჯუა, მახარაძე, ზაზროშვილი, თოდრია, ვარდიმიადი, კილაძე, კ. გაგნიძე, ა. პაიჭაძე, კიტია, ჯავახაძე და სხვები. გუნდს ავარჯიშებენ უფროსი მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. იაკუშინი და მწვრთნელი სპორტის ოსტატი მ. მინაევი.

ფეხბურთელები ვარჯიშობენ ღია ცის ქვეშ ყოველ დღე ორ საფეხბურთო მოედანზე. გუნდის წევრები დაყოფილი არიან რამდენიმე ჯგუფად, თითოში 7-8 კაცის შემადგენლობით. ისინი გულმოდგინედ ეუფლებიან ფეხბურთის რთულ ტექნიკასა და ტაქტიკას, იმაღლებენ ოსტატობას. გარდა მინდორზე პრაქტიკული მეცადინეობისა, დინამოელები ყოველდღე აწყობენ კროსებს და თეორიულ მეცადინეობას დაფასთან. მათ ჩაატარეს აგრეთვე რამდენიმე თამაში პირველ და მეორე შემადგენლობას შორის.

გარდა სპორტული წვრთნისა, ფეხბურთელები ქმედით მუშაობას ეწევიან იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად. ნაყოფიერად განაგრძობენ მუშაობას საკავშირო კ.პ.(ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეები. ახალგაზრდებს აქტიურ მეთოდურ დახმარებას უწევენ უფროსი ამხანაგები ვ. პანიუკოვი, გ. ანთაძე, ა. ღოღობერიძე და ბ. პაიჭაძე.

ორგანიზებულად ატარებენ დინამოელები დასვენების საათებს. მიმდინარეობს გუნდის ჩემპიონატები ჭადრაკში, ბილიარდში, ფრენბურთში.

თბილისელი დინამოელები უახლოეს ხანში ჩაატარებენ ამხანაგურ მატჩებს მოსკოვის, ლენინგრადის, მინსკის, ერევნისა და სხვა ქალაქების ოსტატ ფეხბურთლეთა გუნდებთან.

ბ. პაიჭაძე. სპორტის დამსახურებული ოსტატი
“ლელო”, 9 მარტი 1951 წ.